


# ლიტერატურული კაწეთი

№13(149) 3 - 16 ივნისი 2015

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, აარასკობით

ფასი 80 თეთრი



თემურ გაბუნია

ცოტნე ჩიქოვანი

ტოლპინი და როულინი

სიმენს

II-III

VI-VII

როსტომ ჩხეიძე

ორჯერ — ერთ ნაკადში

VIII-IX

მაია ჯალიაშვილი

სიცოცხლის ხალოვნება

X

მანანა კვაჭანტირაძე

ოცება, როგორც არგუმენტი

XI-XIII

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

სცენა „ვაუსტიდან“

XIV-XV





## — დაბიუტი —

როგორ გითხრა, რომ თვალჭრელ აპრილებს

შეუკერიათ მწვანე კაბები,  
და რომ ამაღამ წვიმას აპირებს,  
რომ ისიზმრებენ ტყეებს კაქბები...  
როგორ გითხრა, რომ შორია ზეცა,  
მინაც შორია, სისხლით და მსხვერპლით,  
რომ მოთმენილი სიმშვიდე მეცვა,  
როცა ქარიშხლებს ვხატავდი შენთვის...  
როგორ გითხრა, რომ ვერასდროს ვერ ვთქვი,  
ეს გული რასაც უხმოდ ყვიროდა,  
რომ ყოველდამე დემონებს ვეპრები  
და ყოველ დილით ვკვდები ოლად...  
როგორ გითხრა, რომ ვერსად გიპოვე  
და მაინც მუდამ სადღაც გექბდი,  
როგორ აგიხსნა, როგორ ვიომე  
სანამ შენამდე მოსვლას შევძლებდი...  
როგორ გამოვექნა ისე სტრიქნი,  
როგორ ამოვაჟქვა სათქმელი ისე,  
რომ ქაოსების ლურჯი ქიტონი  
შემოეხიოს დაძარღვულ კისერს...  
როგორ გადმოგცე ეს ბრუნვა-ქროლვა,  
თანდებულებით, ქვეწყობალებით,  
როდესაც სულის ნაცხელებ როკვას  
და ველურ ქარებს ვეძმობილები...  
როგორ გითხრა რომ ძილშიც ჩამესმის  
დასაკლავ ხბოთა ხაფი ბლავილი,  
რომ ვერ ვუყურებ ყანას დასეტყვილს,  
რომ მოცელილი მტკივა ყვავილი...  
როგორ გითხრა რომ ამ ქვეყნად მოსვლა,  
ამ გზებზე დგომა არავინ მკითხა,  
რომ თხა მქვიდა თხა მომაქვს  
რომ დავიკარგე, როგორდა გითხრა...  
...როგორ გითხრა, რომ თვალჭრელ აპრილებს

შეუკერიათ მწვანე კაბები.

(მგონი ამაღამ წვიმას აპირებს),  
დაისიზმრებენ ტყეებს კაქბები...

## შუბის მაივი

მე დამიტოვეთ  
მხოლოდ ფერადთვლიანი მძივი,  
უბრალო, შუშის.

ირეკლებოდეს ათასფერად  
დილის მზის სხივი.

ბაგშვილისფერი გადაკრავდეს  
მარტივი შუქი,  
აციმციმებდეს ცოტა სიბრძნეს,  
ბევრ სისულელეს,  
ქონდეს სიზმრების სიმსუბუქე,  
ზღვასავით ლურჯი,  
და იყოს მისა სიიაფე  
ცასავით ძვირი.

რადგან ჩემს თვალებს  
ამ სიყალის გარჩევა უჭირთ,  
რადგან ჩემს ხელებს

ამ სიმძიმის ტარება უკვირთ.

მარგალიტები, იაგუნდები  
თქვენი იყოს,  
მათი მოხდენა,

მათი ფასი

თქვენ უკეთ იცით.

მე დამიტოვეთ განყვეტილი,  
ფერადი მძივი,  
უბრალო შუშის.

## SIESTA

ჩვენ ვსაუბრობდით თეთრ ლაკლაკებზე  
და ლერწმიანის სიმწვანე ვეცვა,  
ნაანთებარი წვით ლაპლაპებდა  
აგვისტოს მზეში ნაბანი ზეცა.

აკეცილ ფეხზე იდგა შუადლე  
და როგორც ლორდი ლორნეტის შუშით  
იუცნურებს ნაცნობ ვუალებს,  
ღრუბელს უკვირდა მცურავი ღრუბლის.

მე გადავხადე ლურჯ სიზმარს რიდე,  
ამოყვნენ სიზმრის საზს ლაკლაკები,  
შენ ძილიანი ფრთა მომარიდე  
და ჩემი ფრენის ცას ამთქნარებდი.

\*\*\*

დღე იყო მშვიდი.

მშვიდი და წყნარი,  
სხვა პირიზონტებს ფიქრობდა ფიქრი.  
დღეს ქონდა ფერი უეცარ ნასვლის,  
როგორ ნასვლითაც დღე მუდამ მიდის.



## ნინო გაბუნია

და მე იალქნებს ვკერავდი შენთვის,  
აგიგე შორი ზღვების ხომალდი,  
მე დაგიხატე ნასვლების გზები  
და ლურჯი ტალლის სივრცე მოგართვი  
ნახვედი.

საგზლად თან წაიყოლე,  
ჩემი უფერო, უხმო სიზმრები,  
აფრების გაშლით გამოიგონე  
მათში სიტყვები და საუბრები.  
ამოსუნთქვების უმძაფრეს ქროლვით  
გამოგაყოლე ზურგის ქარები  
და დავრჩი სავსე მდუმარე ნოტით,  
ცარიელ ცასთან ჩუმი დარჩენით

ახლა ღამეა  
ტირიფის ტოტი  
ეთამაშება მთვარის აჩრდილებს.  
ახლა ღამეა  
მოდი და მოსვლით,  
მოდი და მოსვლით გადამარჩინე.

## ნებირთითები

შენი ითახის ნეფერტიტები,  
მაღალი ყელით, ნატიფ თითებით,  
მოგიყვებიან, როგორ ძლევდნენ  
სიჩუმის სევდას...

როდესაც კრეფდა  
ფარაონი ბაღებში მზევლებს,  
მწიფე ნაყოფით იამებდა  
გამომშრალ ვნებებს,  
დღენაკლულ ხელებს  
მზის სხივების რგოლებით ხევნდა,  
ღამით სხვა თვალებს მიაფენდა  
მცხუნვარე ღმერთებს.  
დედოფლის ცრემლებს  
აგროვებდა ყრუ მონა ქალი,  
ოქროს ლანგარით...  
პირის საბანად მიართმევდა  
ფარაონს ვით მზეს.  
(ამით ებრძოდა ფარაონი  
სიბერის სიზმრებს).  
მოგიყვებიან ამ ყველაფერს,  
შენი ითახის ნეფერტიტებს  
ერთხელ თუ ჰკითხე.

## თეთრი ვალსი

მელანქოლია მკრთალი ვალსების  
ღამის ბაღების, მე არ მქონია.  
ასე მგონია გავიფანტები,  
დავემალები თეთრ აგონია.  
ეკატორია შენი თვალები,  
შენი ხელება დილის თოვლია,  
და სიმფონია განმარტოების,  
ფრთებზე მოება ფიფქად თოლიას.

ზეცა შორია აღმაფრენების,  
აღმოჩენები გემის ფონია,  
არასნორია დათვლა წყენების,  
დღეების გავლა ერთად — სნორია.

## ნოემბრის ნოემტური

სიზმრებში ფანჯრებს ესიზმრებათ  
ნანახი ქუჩა.

ფოთლებს აბარებს შემოდგომა

წიგის დუქანში,

უკე ზამთარსაც მოფიცექული

მაქმანი უჩანს,

გადაზნექილა სიმძიმისგან

ქვევრი მსუქანი.

აკენავს ყვავი მზის სხივებს

და დალლილ ნოემბერს,

ჩაეძინება ღამეებში

მეტი სითბოთა.

სადღაც დაგვარგე

და ვერაფრით ვეღარ მოგძებნე

ალბათ ზამთრების შესახვევთან

უცბად გიპოვა.

...სიზმრებში ფანჯრებს ესიზმრებათ ნანახი ქუჩა.

\*\*\*

მაინც დიდი განსხვავებით,

ერთნარად მოდის ღამე

და წითელი აპაჩები

მზეს მუსტანგზე შემოსვამენ.

ვეძებ თვალებს...

ვეძებ ნათელს...

...იელვარე!

ღამისფერი ყაჩაღები

შემებს ზარზე შემოკრავენ,

ვინ გაიგებს, რა მანამებს,

დრო საბელით დამატარებს.

დამავიწყდი...

გამახსენდი...

ჩემი თავი შენს თავს მართმევს

და სიზმრებში მამაჩემი

სულ სხვადასხვა სახელს მარქმევს.

შემიწყალე...

ფიქრი — უხმო განაჩენი

მეტი ხმებით ამბობს სათქმელს,

სიყვარულში გადავრჩები,

ნუ მიმატებ ეჭვის სასჯელს.

იმ ცებიდან ამ მინამდე

მინდა მწამდე...

მინდა მწამდე...

ზოგჯერ მცირე, დანარჩენი

გადამონის მთლიანს, მთავრებს.

შემიყვარე...

რადგან დიდი განსხვავებით

ერთნარად მოდის ღამე...

## — დაბიუტი —

## ნანა ბობოხიძე

„მოყვარე“ მოერს...

...დაღამდა ისე, რომ ვერც გათენდა...  
შენ კი, სულ ბოლო სანთელსაც მიქრობს...  
გრიგალი ფანტავს ძველ ციხის ნაშალს,  
ციხეც არასდროს არ მდგარა, თითქოს  
ამ კლდეზე...  
ალარც მართვეს არწივის  
არ უფიქრია ზეცასთან შებმა...  
სულ მისხალ-მისხალ დაინანილეს  
მინა ცხვრის ტყავით მოსილმა მგლებმა...  
ამ სიბრძლეში სადღა გიოვნო,  
თავად ჩააქრე შენი სინათლე...  
ვინ იცის, ახლა სად ჩაიჩოქე  
— სად დაგენია ჩემი სიმართლე...  
გადმოვირე გზები, უვალი...  
გიოვნო, იქნება... (თუ გაგიმართლებს...)  
ნუ გეშინაა... არ მიგატოვებ —  
შენს დასათებსაც ვანთე ჩირალდნება.

## ჯალათს!

ტრიპტიქი

...ვიცინი.  
მაოცებს  
მე ჩემი სიმშვიდე.  
და თავი სუსტი და  
საბრალო მგონია.  
ასე უცნაური,  
უცხო გარინდება  
აქამდე არსად  
და არასდროს მქონია.  
შენც... ვერა, ვერ მიხვდი,  
როგორ გაგექეცი,  
როცა იმ ჭაობში  
კვალდაკვალ მომდევდი...  
იმასაც ვერ მიხვდი,  
შენგან თუ გავრბოდი,  
ახლა ემაფოტთან  
რატომდა მოვედი...

...მოვედი.  
მზეს უცდი.  
უნდა შევეგბო.  
ჩავაქრო შენს გულში  
შიში და წყვდიადი.  
ვინ მოგცა უფლება,  
უფლებას მართმევდე,  
სისხლისფრად შეღებო  
ჩემი განთიადი...  
რა მოვდის...  
გუმანმა რატომ გილალატა,  
სად გაქრა ის მზერა  
— მდვრიე და ბოროტი...  
ახლა გაგიღიმებ,  
შენს სულში შემოვალ  
და წყეულ ბილიკებს  
გავიღო ბოლომდი...

...ვიცინი.  
თავს მადგას  
ის ლურჯი ნათება...  
ღამეულ ტყეებზე  
წვებან ნისლები...  
ალესილ ნაჯახზე  
წვეთები ცეკვავენ,  
ნითელი წვეთები  
— სისხლისგან ვიცლები...  
თვალები...  
ძლივს ვარჩევ  
ბინდში გამოკვეთილ  
შენს სახეს  
და ღანვებს,  
დანამულს ცრემლებით...  
ისევ ვიღმიები...  
სულზე გეფერები...  
გულში გახუტებ და  
ლამაზად ვთენდები.

## „ჩემო კარგო ქვეყანაზ...“

მე მოგატყუე, როცა გითხარი,  
რომ უშენია მომიღებს ბოლოს...  
სისულელეა!!!  
მე ამ სიტყვებით  
ჟონგილორობა მცოდნია მხოლოდ....  
შენც... დამიჯერე...  
მიხატულ ცრემლებს  
იაფი სცენის ეყარა მტვერი...  
ახლა გიყურებ დანგრეულს, დაშლილს...  
მრავალჭამიერს ჯიუტად ვმდერი...

მგელს კი, ცხვრის ტყავში თბილად გახვეულს,  
მქონარე ტაში თავბრუს დახვევეს...  
და ყველა მითი ერთად დავმარხე...  
არც სხვას ვარგივარ, არც საკუთარ თავს...  
რალას ვუშველი, ვის გადავარჩენ,  
თუ ჩემი სახით დრო, უნდობარი,  
შენ გამოგიტანს ისევ განაჩენს...  
თურმე ასეთი გქონია ბედი,  
— მე შენს საფლავზე ვცეკავდე უნდა...  
სიხარულს ვგლოვობ, სატირალს ვმღერი...  
ის ლეგენდებიც როგორ გახუნდა...  
მზე შინაო და მზე გარეთაო...  
მზე ვიყავი და ვაქეცი ლანდად...  
ნავალ... ზღაპარში დავიკარგები...  
იქ ყველაფერი მთავრდება კარგად...

\* \* \*

ყოველი მხრიდან ვიღაცა მებრძვის...  
ჩაკირული ვარ მცხეთას და ხერთვისას...  
და ყველა ძარღვი მდინარეს ერთვის  
იქ, სადაც ადრე კვდებოდნენ შენთვის...  
იქ ტალღებს ლალი ოცნება შვენის, —  
აღმა მიცურავს მგლისფერი ცხენი...  
აქ კი ჩრდილოდან გამოდის ლანდი  
და ჩემს გარშემო ჩურჩულით დადის...  
სადღაც, შორს, ლამაზ ოცნებად დარჩა  
სიზმრის წვიმებით ნაქსოვი ფარჩა...  
და გამოგონილ, უძარლვო განცდას  
ყველა ნამდვილი ტკივილი ასცდა...  
მწუხრივით, — მძიმედ ეშვება ფარდა...  
არავინაა... ნიღბების გარდა...  
ტალღას მივყვები, უნდოს და უძღებს...  
და ვითმენ ტკივილს, სანამ გავუძღებ...

\* \* \*

ამ ღრუბლიდან იმ ღრუბლამდე  
ბილიკს მსადევს ცისარტყელა...  
ყველა ფიქრი შენს კენ მოდის,  
შენზე მდერის დარდი ყველა...  
ჩემი სისხლი შენს მაჯაზე  
ცხელ მდინარედ რომ ჩამოდის,  
მზის ნათელით იფარება  
ჭერა ჩემი ძველი ოდის...  
მწვანე ზღვაში ჩაძირული  
დილა მზისკენ მიდის ნელა...  
ამამღვრია შენმა სევდამ,  
შენზე დარდმა დამანელა...  
მინამ, შუად გახეთქილმა,  
ჩუმი სიმწრით გამახელა,  
მაჭახელა — ცხარე ცრემლი,  
ჩემ ნენეის გულის ხელა...  
გამოღმიდან გაღმა ცისკენ  
მიირწევა ნისლი ნელა...

## ზაზას

...დიდი ხნის შემდეგ,  
როცა ამ ხეებს  
ექნებათ ფერი ძველი ზღაპრების,  
როცა ღრუბლებში შრიალის მერე  
დაიღლებიან მწვანე აფრები,  
როცა ჩადგება თვალში მალულად  
ის, მონატრების დალლილი ცრემლი,  
იგრძნობ, რომ თურმე არ დაკარგულა  
რაც ვთქვი... ისიც, რაც დამრჩა უთქმელი...  
მე დავცრუნდები და შენს ფანჯრებთან  
განვება ჩრდილი თეთრი ხეების...  
ჩუმად გიამბობ, რაც თავს გადამხდა,  
მოგეფერები წვიმის ხელებით...  
ჩურჩულით გეტყვი — „არ გამიმართლა,  
ისევ ოცნების ახდენას ვცდილო...“  
...მე მოვალ შენთან — ლურჯი სინათლე...  
და შუბლზე ფრთხილად გაკოცებ, შვილო...



## ფერიდე სიმსივე



## უარი

უკვე ვუთხარი ჩემს თავს უარი,  
მიმართული მაქეს ცისკენ გონება,  
არც სიცოცხლეში მედება ბრალი  
და არც სიკედილი მებატრონება.  
დამღალა თოვლმა, მარტმა დამღალა,  
ურჩი და უნდო გახდა ბუნება,  
გადამიყოლა ლამის ზამთარმა,  
თოვლიაც დაკარგა ძველი ცდუნება.  
დაგხუჭავ თვალებს, არ ჩანს სოფელი,  
ნუთისოფელი ასე მწირია,  
თითქოს მიწისგან რამეს მოელი,  
და ამ მინაზეც რა სიმცირეა.  
ჩვენ ერთად დიდხანს ვზვერავდით მინდვრებს,  
რა ლურჯად ჩანდნენ ზვრებში იქბი,  
და უცებ ჩახმენ იქბი მერე,  
თოვლით და ქარით ნაპატიები.  
უცებ გახუნდა მდელო და ფერდი,  
მზის ნასახლარი ჩეროში მინვა,  
ჩამოილია მეასე გვერდი  
და ცის მახლობლად გამოჩნდა მინა.

## უსათაურო

კუბოკრული მიწიდან,  
ლამე ამოიზიდა,  
ავარჩიე ფრაგმენტი  
ჩემი მდარე სიზმრიდან.  
მე არ მსურდა მეფობა,  
მკლავდა ერთადერთობა,  
მკლავდა მწირი სოფელი  
და უერთმანეთობა...  
ჩავამთავრე გზა თუ ზღვა,  
გული ბედს არ ენდობა.  
ვდუმდი, სადღაც ჩემს იქეთ  
დუმდა უიმედობა.  
ხეს წყდებოდა ფოთოლი,  
როგორც გული მწყდებოდა,  
მთავრდებოდა ზამთარი  
და ზაფხული დებოდა.  
ცის მახლობლად გზა მოსჩანს,  
თვალი გზისკენ გამება,  
რა ხანია მზე ჩადგა,  
ჩაიარეს მგზავრებმა!...

## მას ჩემი სული ებარა ერთ დროს,

მას ჩემი გულის სუნთქვა ებარა  
და როცა ჩრდილი მიადგა ფერდობს,  
როცა ცას ბინდი გადაეფარა,  
დაგტოვე სახლი, კუთხე და ეზო,  
იქნება დარდი გადამეყარა,  
ვიდენი სადღაც სიშორის ზემოთ  
და ჩემ წინ დუმდა მთელი ქვეყანა.



















## კაზერი

ჰოდა, ჭკუასაც ნუ დაატან, ხარჯე წებისად.

## მასხარა

მოდის, მოცვივა... სულ ჩემია? ყველა ჩემია?

## კაიზერი

მშვიდად აკრიფე, შენდა წილად განმიჩნია.

## (გადის)

## მასხარა

კარგად შეგროვდა! ექვსი ათას ოქროზე მეტი!

## მეფისტოფელი

შენ ისევ აქ ხარ, ღვინის რუმბო? ალდექი მკვდრეთით?

## მასხარა

კი, ხდება ხოლმე, ოლონდ ასეთ ილბალზეც არა.

## მეფისტოფელი

სიხარულისგან წითლად ღური, სულ ოფლი გცვარავს!

## მასხარა

მართლა ყადრი აქვს? ფულის ფარდი საჩუქარია?

## მეფისტოფელი

არ გამოგილევს, ყელს და სტომაქს რაც უხარია.

## მასხარა

მამულს მიყიდის? სახნავ-სათესს? ფარას და ნახირს?

## მეფისტოფელი

ყველაფერს უცებ გაშოვნინებს, რამდენიც რა ღირს.

## მასხარა

ქვის სასახლესაც? სანადირო-სათევზაოსაც?

## მეფისტოფელი

ნამდვილ ბატონკაცს დაგამგვანებს, დიდს და მზვაობარს.


## მასხარა

ჩემს სასახლეში გავიღვიძებ უკვე ხვალ დილით!

## მეფისტოფელი

არადა, სულელს ეძახიან... ბრძენი ნამდვილი!

## თარგმანი დავით თერედიანია



## მაკა ლომაძე

## მიყვარსარ – სმამაღალი ნათევამია, არა?



- მიყვარსარ, გოგონი, გესმის?
- არა.
- რატომ?
- უფრო ხმამაღლა მითხარით.
- მიყვარსააააააააააააააააარ!!!
- არა, მაინც ვერაფერი გავიგე.
- მიყვარსხეხარ, მიყვარსხეხარ, მიყვარსხეხააააააააააარ!!!
- იძლავლეთ-მეტქი, არ მითქვამს.
- აბა, მეტი ხმა მე არ მაქვს. და რა გინდა? ხომ მითხარი, უფრო ხმიმაღლოთ?
- თქვენ ვერც გაიგებთ. თურმე, სიყვარულის ახსნის

დაჯერების კოეფიციენტი მის ასახსნელად გამოყოფილი ბგერების რხევების სიხშირის პირდაპირობორციული სულაც არ ყოფილა. თქვენ ვერ ჩააბარეთ უნარები და ვერ მოხვდით სიყვარულის უმაღლეს სასწავლებელში. Bye-bye.

— ვაპორტესტებ!

— პროტესტი არ მიიღება. გადაწყვეტილება შეუვალია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. დამატებითი განმარტება: შეგეძლოთ, უფრო ნაზად, უფრო მეტიც, თითქმის ჩურჩულით გეთქვათ, მაგრამ ისეთი მორთოლვარება მიგეყოლებინათ ხმაში, მაშინვე დაგიჯერებდით.

## ზურაბ ცუცქირიძე

## მამონას მონის გადასარჩევად

## შთაბეჭილებანი ბესიკ კეკელიძის რომანზე „განუკითხავი“

გეითსველის საქმე, მოგეხსენებათ, კითხვის სიყვარულია, რაც შეცნობის ინტერესთან არის წილადაც. ამიტომ, მეც სულ მაინტერესებს, როგორ განვითარდება ამ თუ იმ კონტენტული მხატვრული ნანარმოების სიუზეტით, რა დასასრული ექნება მას და რისი თქმა სწადია აუტორს ჩვენთვის. ისიც მომხდარა, რომ მავანი მნერლის მოთხოვნისა თუ რომანის კითხვა დაიმინება, მის სიღრმეშიც კარგა გვარიანად შეესულებორ, მაგრამ მაინც ვერ გამიგია, რისი თქმა უნდოდა ავტორს, რაში მთხოვდა მხარდაჭერასა და თანაზიარობას. ჩემთვის უამისოდ მხატვრულ ნანარმოებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და ჩემი ინტერესიც მის მიმართ საპნის ბუშტივით ქრება. არც პორნოგრაფია მაინც და მაინც ჯანმრთელი ადამიანის ინტერესის საგანი. არა და მომრავლდა და მომრავლდა ასეთი წიგნები, მათი ავტორები კი ლიტერატურის კრიტიკოსების რჩეულებად იქცნებ: ზოგს პოსტმოდერნისტები დარწევეს, ზოგსაც პოსტრალაციისტები. ლიტერატურის მცოდნებმა უანრებისა და მხატვრული მეთოდების ისეთი ფორმერვერკა შემოგვაფრქვიერს, რომ, მათ თუ დაუჯერე, ვერასოდეს გაიგიბ, სად მთავრდება ნამდვილი ლიტერატურა და სად იწყება ტუტუცობა და ტინგიცობა. რომელიმე მხატვრული ნანარმოები თუ ვერ გაიგე, უნდა იცოდე, რომ აქ გამოყენებულია „მხატვრული მეთოდების დიდი მრავალფეროვნება“. ერთმანეთს ენაცვლება ნეორეალიზმის, მითოლოგიზმის, მაგიური რეალიზმის, ფანტასტიკური იმაგინაციონის ელემენტები. თხრობის ამპლიტუდა მერყეობს რეალისტურ დისკურსასა, დრამატულ ნარატივს, გროტესკსა და, ხშირად, აბსურდს შორის“. მოდი და, ნუ დაუჯერებ ამის მთემელს! მკითხველს, არც თუ იშვიათად, პირდაპირ ამანტაუებენ ეს ჩვენი „პოსტლიტერატური“ კრიტიკოსები: მათი რჩეულის ნაბუუტურევით თუ არ მოგწონს, მაშინ ჩარჩენილი ხარ სიცრე-ალიზმის „ჭაობში“. ვისაც ამგვარი შანტაჟის შეში აქვს, კვერს ან თავს უკრავს მათ თეორიულ მოსაზრებებს, გისაც — არა, მარტივად წყვეტს პრობლემას: არ კითხულობს, საერთოდ, არაფერს.

ახლახან წვევითები ბესიკ კეკელიძის რომანი „განუკითხავი“ და მკითხველის პირდაპირი ვიტყვით: მომენტა და სხვებსაც ვურჩევ წაკითხონ, განსაკუთრებით იმათ, ვინც გულგასენილია საქართველოს დღევანდელი ყოფილ და ჩვენი ერთს სხეულზე მომრავლებული ათასი ჯურის შეამიანი მებენარის მოსპონბის წამალი ვერ უკვიდნია.

მნერლის სათემელი რომანის დასაწყისშივე გაცხადდა: ბრძოლა ბოროტებასა და სიკეთეს შორის, რაც უზ-



